

ფროეზა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ზ. შ.დ ნოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. მარჯუ მცხოვრებთათვის: Въ Тифлиси. Въ редакцію „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაფრად.

ფასი განსხვავდება წესდებით ასობზე 1 კაპ., სტრუქტურით ცეროთი — 5 კაპ., პეტროთი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაქმდათ გამოგზავნილი მტკიცები. დასტკიცელი სტრუქტები ავტომატ დაუბრუნდება. ცალკე ნომერი ღირს შაფრად.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში — ბაღის (სადოვოს) ქუჩაზე ზ. შადინოვის სახლში, № 33

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлиси. Въ редакцію газ. „Дროება“.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდინ, გავზავნიით — სამი მანეთი.

ტელეგრაფები

(ხალხა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

გენა, 25 სექტემბერს. აქაურ გაზეთს „ნიი ჩრაიე პრესში“ დაბეჭდილია ლონდონიდან მიღებული ტელეგრაფი, რომელშიაც იწერებინან, რომ ინგლისის სამინისტრო ძალიან დააფიქრა და ააღელვა თ. ბისმარკის შენაში მისეღამაო და აქედამ წარმოძღვარ პოლიტიკურ კომბინაცებამო. ამის გამო ინგლისის მმართველობამ ჟამად ისეთსავე მოძრაობაშია, როგორც სან-სტეფანოს მორიგების პირობის შეკერის დროსაო. აპობენ, რომ ინგლისი რაღაც მოულოდნელ საქმეს ამზადებს.

გაზეთს „პესტერ ლლოიდში“ იწერებინან, ვითომც სულთანს გაეგზავნოს აესტრის იმპერატორის ჩრანცი-ოოსიფისათვის წიგნი, რომელშიაც წინადადებას აძლევს ოსმალეთსა და აესტრიას შუა მეგობრული კავშირის შეკერის შესახებ.

ლონდონი, 25 სექტემბერს. მინისტრების რჩევამ არ მიიღო გუშინ არავეთარი გარდაწყვეტილება პარლამენტის უჩვეულებრივო სხდომებისათვის შეყრის თაობაზედ. ბაზ. „თაიმსი“ ამბობს, რომ აელანისტანის შესახებ თავის პოლიტიკა ინგლისმა მხოლოდ მაშინ უნდა განსაზღვროს, როდესაც ის ძაბულს აიღებსო.

გენა, 25 სექტემბერს. რეინსტატის გახსნაზე დღეს ყველა მინისტრები დაესწრო; დროებით პრეზიდენტმა დააფიცა ყველა დეპუტატები, ხეალ იმპერატორი

ჩრანცი-ოოსიფი გახსნის პალატის სხდომას, შრათ ანდრასჩის მოადგილე ბარონ ბეიმერლე მოვიდა შენაში.

ბერლინი, 26 სექტემბერს. ჯერ-ჯერობით მოვიდა ცნობა მხოლოდ 418 დეპუტატის კენჭის ყრისა; ამ რიცხვში ამორჩეული არიან: 111 კონსერვატორი, 92 ცენტრის პარტიისანი, 90 ნაციონალურ-ლიბერალები, 9 ლიბერალი, 43 თავისუფალი რიბერალი, 34 პროგრესისტი, 19 პოლშელი და 1 დემოკრატი. ამორჩეულების რიცხვში ურევია ადრინდელი მინისტრები: ჟალკი, ზობრეხტი და ჩრიდენტალი.

ბელგრადი, სექტემბერს. რუსის პოლიაკოვის კომპანიამ წარუდგინა სერბიის მთავრობას წინადადება სერბიის რკინის გზების გაყვანაზე.

პარიში, 26 სექტემბერს. მინისტრებს ამნისტიის (პოლიტიკურ დამნაშავეების პატიობაზედ) ჰქონდათ დღეს სჯა; გადაწყვიტეს, რომ ამ საგნის შესახებ ისე მოიქცენენ, როგორც დეპუტატების პალატამ დაადგინა.

პეტერბურგი, 25 სექტემბერს. საიდუმლო ტიპოგრაფიის აღმოჩენის დროს პოლიციამ დაატუსაღა 20 კაცი, რომელთ რიცხვში 3 ქალი იყო.

ბერლინი, 24 სექტემბერს. გუშინ საღამოს საფრანგეთის ელჩი დენ. შანზი თ. ბისმარკთან იყო; დღეს ის პეტერბურგში მიდის.

საქართველო

ხალხის სახსოვრის დაცვა

მართა უბრალო შენიშნვაჲ, ჩვენი გაზეთის „ლიურში“ დაბეჭდილმა, რომ მ. არხიმანდრიტ ქესარიოსს შიო-მღვიმის მონასტრიდან ძველი ხელთ-ნაწერი ქართული წიგნები ჩიზოუტანია ოფელისშიო, აღმოაჩინა საზოგადო ყურადღების ღირსი ამბავი; ხსენებულ არხიმანდრიტმა და აგრეთვე არხიმანდრიტმა მაკარიმ დაბეჭდეს ჩვენსავე გაზეთში შენიშვნები, რომლიდამაც შევიტყუეთ, რომ ოფელისის სასულიერო სემინარიის ბამგეობას, სინოდალნი ძანტორის შუამავ-

ლობით, მოუთხოვნია საქართველოს ყველა მონასტრებიდან, უღაბნობებიდან და ეკლესიებიდან რაც კი მათში ძველი ხელთ-ნაწერი ძველი ქართული წიგნები ანუ სხვა ისტორიული სახსოვარი მოიპოვება; მოუთხოვნია ან სამუდამო საკუთრებად ანუ დროებით სასარგებლოდ იმ განზრახვით, ვითომც რომ ეს წიგნები საჭირო არის ძველი საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესამუშავებელადო!

ამ ამბავის შეტყობის შემდეგ, ჩვენ ვიკითხეთ („დროება“, № 194) — თუ რა საფუძვლით და რა უფლებით აგროვებს ოფ. სასულიერო სემინარიის ბამგეობა იმ წიგნებსა და ნივთებს, რომელიც ქართველ ხალხს თავის შთამომავლობისათვის დაუტოვებია, რომელნიც შეადგენენ ჩვენთვის ძვირფასს მასალას და წყაროს ჩვენი ძველი ისტორიული ცხოვრების გასაცნობად და სხ. ვიკითხეთ თუ რისთვის აგროვებს ხსენებული სემინარიის ბამგეობა ამ წიგნებს, როცა ჩვენ ვიცით, რომ არც მ. რექტორსა და არც ინსპექტორს უფ. ტეფშინსკის არ გამოუჩენიათ თავიანთი თანაგრძობა და სიყვარული არც ქართველი ხალხისა და არც იმის ლიტერატურისა, როდესაც მთელ სემინარიის ბამგეობაში, ერთთუ ორ წევრს გარდა, არავინ არც კი იცის ქართული ენა, რომ შეეძლოს ქართულ წიგნებით სარგებლობა!..

მართულ ძველ წიგნებსა და ნივთებს ამ უკანასკნელ დროს იმდენი პატრონი და დამსაკუთრებელი აღმოუჩნდა, რომ ჩვენ გვეშინია არ დაგვეკარგოს ისინი. ოითო მიზეზს პოულობენ, ეს შეკეთება ეჭირება ძველ ნივთებსაო, ეს წიგნებს ახალი ყდა უნდა გაუკეთეთო და სხვა ამგვარებს და ხელიდან აცლიან მონასტრებს ამ ძვირფას წიგნებსა და ნივთებს.

ამის მაგალითები თვალ-წინა გვაქვს. და ამ მაგალითებზედ იყო დაფუძნებული ჩვენი შიში, როცა ვამბობდით, რომ სემინარიის ბამგეობას არა აქვს არავეთარი უფლება გამოაკალოს ჩვენ მონასტრებსა და ეკლესიებს ძველი ხელთ-ნაწერები-მეთქი.

ჩვენდა სასიამოვნოდ, მ. არხიმანდრიტის წერილი გვაცნობებს, რომ, ზოდების წმ. ნინოს მონასტრის გარდა, არც ერთი ეკლესიიდან და მონასტრიდან არ გაუკზავნიათ სემინარიაში ხსენებული წიგნები და ნივთები და იმედია, რომ ამის შემდეგ აღარც გაუგზავნიან.

ამნაირად დღეს გადარჩა განსაცდელს



ეს ჩვენ წინა-პართა სახსოვარნი; მაგრამ შეიძლება ხვალ ვეღარ გადაჩხეს, შეიძლება ხვალ აღმოჩნდეს სემინარიის გამგეობაზე უფრო ძლიერი უწყება ანუ პირი, რომელმანც მოსთხოვოს ჩვენ ეკლესიებს ხელთ-ნაწერები და ნივთები და ეკლესიებმაც უარს-თქმა ვეღარ გაბედონ, მისცენ დაგვეკარგოს ამნაირად საგნები, რომელნიც ჩვენ ძველ ისტორიულ ცხოვრებას მოგვაკონებენ!

ამის გამო ძალიან კარგი იქნება, ჩვენმა საზოგადოებამ (რადგან ეს საქმე, უეჭველია, მთელ ხალხს შეეხება) მოიგონოს ისეთი რამ საშუალება, რომ მუდამ ამ ეჭვში და შიშში არ იყოს. ამისთანა საშუალება, ჩვენის აზრით, იქნება არხეოლოგიური მუზეუმის დაარსება. ამ არხეოლოგიურ მუზეუმში, რომლის გამგებლად და წევრებად, რასაკვირველია, მხოლოდ იმისთანა პირები იქმნებიან, რომელთაც ნამდვილად შესტკივთ გული საქართველოს ისტორიისა და ხალხისათვის, შეიძლება შეინახოს და დაიცვას კაცმა ყველაფერი, რაც შენახვისა და დაცვის ღირსი რამ დაუტოვებიათ ჩვენთვის ჩვენ წინაპართა. აქ, ამ მუზეუმში, შეგროვდება, თუ მოხერხდება, როგორც ძველი ხელთ-ნაწერი წიგნები, აგრეთვე ძვირფასი ნივთები, ძველი ტანისამოსები, იარაღები და სხვა ყველა ნივთები.

რამდენათაც ჩვენ ვიცით, ამას წინათ იყო ჩვენს ქალაქში ლაპარაკი ახალი არხეოლოგიური საზოგადოებისა და ამგვარის ქართული მუზეუმის დაარსებაზე.

მაგრამ მას აქეთ კაი ხანი გავიდა და საქმეს შესრულებულს ვერა ვხედავთ. არ ვიცით—რა დაბრკოლება მიეცა ამას. უეჭველია, რომ მთავრობის მხრით ამგვარს საქმეს არასოდეს ჩვენში არავითარი დაბრკოლება არ მოელოს; ოღონდ გამოჩნდნენ საპატიო კაცები, ითავონ ეს საქმე და მთავრობისა და ჩვენის საზოგადოების მხრით, დარწმუნებული უნდა იყვნენ, შემწეობა და დახმარება არ მოაკლდებათ...
ს. მ.

დღიური

* ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ გამოცხადებული, რომ „საქართველოში წერა-კითხვის ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებამ“ გავზავნა მუთაისის გუბერნიის ორი თავის აგენტი უფ. ა. შიჭინაძე და ი. მეუნარგია იმ განზრახვით, რომ, ადგილობრივ ადმინისტრაციის ნება-რთვითა და შემწეობით, მოახდინონ სოფლებში ყრილობა და დაადგინონ შკოლის განხლის გარდაწყვეტილება; ესენი უნდა დაპირებოდნენ იმ სოფლებს, რომელთაც შეძლება არა აქვთ, რომ ხსენებულ საზოგადოებას შეუძლიან წელიწადში ოც-ოც-და-ათ თუმანამდინ შეეწიოს იმათა და უმოგონს მასწავლებელი.

ჩვენ შევიტყუეთ ახლა, რომ მუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციას ამ ქველ და კეთილ საქმეში, არა თუ არავითარი

შემწეობა არ მიუცია საზოგადოების აგენტებისათვის, არამედ მათი განმარტება იმათთვის, რომელთაც ყრილობის მოხდენა არ შეიძლება, ახალი შკოლების გახსნა რა საჭიროა, როდესაც რამდენიმე ძველი შკოლა არის, იმათაც ვერ უხეირიათო და სხვ. და სხვ.

ძალიან საინტერესო იქნება, რომ ეს საქმე ოფიციალურად, საქვეყნოდ გამოცხადდეს; ჩვენ გვგონია, რომ აქ ერთი რამ სხვა მიზეზი უნდა იყოს, თორემ რა დასაჯერებელია, რომ ადმინისტრაციამ ხელი მოუშალოს უმაღლესის მთავრობისაგან დამტკიცებულ „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ამისთანა საქვეყნო სასარგებლო საქმეში, რომლის შესრულება ჩვენში თვით ამ ადმინისტრაციასაც ვალად აწევს...

* ამ თვის 23-ს გაიხსნა ბორში სამასწავლებლო სემინარია ახალის სამშობლო ენების მასწავლებლების შტატებით. ამ დღეს ხსენებული სემინარიის დირექტორს უთქვამს თავ-მოყრილ მაგისტრებისათვის შემდეგი ჩინებული სიტყვა, რომლიდანაც რამდენიმე ადგილი მოგვეყავს:

„მმართველობამ დაამტკიცა ჩვენს სემინარიაში ახალი შტატები; ადგილობრივ ენებს ისეთივე მნიშვნელობა მიეცათ, როგორც ყველა სხვა საგნებს.

„მა სემინარია თქვენთვის: ქართველებისა, სომხებისა და თათრებისთვის არის დანიშნული; თქვენ უნდა გამოხ-

ფელტონი

ისტორიული მასალები.

(ზაგრძელბა*)

1787 წ. მეფე მრეკლემ, შარაბაღს ხანის დასამონაგებლად როცა თვითან ბურნაშოვ პოლოკოვკთან ერთად მანჯას იყენენ, გააგზავნა თავისი ძე იულონი; გზაზედ დახვდნენ ყარაბაღელნი და გაჩნდა ძლიერი ომი; სძლიეს ქართველთ, აწყვიტეს უმრავლესნი, დანაშთენნი გააქციეს და შემოიქცნენ უკან დიდის ნაშოვრითა.

ამავე წელს გარდაიცვალა ანტონ კათალიკოზი და გაკათალიკოზდა ანტონიე მეფის ძე.

1784 წ. იმერთ მეფე სოლომონი მოკვდა და გამეფდა ძე მისი ღვთ. 1789 წ. ბრიგოლ ღვთისანი განუდგა. წერეთელი ღვთისადა. ღვთისმა იმერლებს ოღიში (სამეგრელო) მოაწვეინა. მრეკლე მეფე რომ აღარ სწყალობდა ახალქალაქის ომის მერმე სოლომონს და მის ძეს, წარგზავნა სოლომონ მეფის ძმის არჩილის ძე ღვთითი. მიუმხრეს ღვთისანმა და წერეთელმან ერთად

ქართლის სამხედროს, შეებნენ ხუნწს, დაამარცხეს ღვთით მეფის მხედრობა და მეფე ახალციხეს გააქციეს, გაამეფეს არჩილის ძე ღვთითი და უწოდეს მეორე სოლომონი.

ამ დროს ლეკნი დაეცნენ ძველას; მიუსწრო მეფე მრეკლის ძის ძემ ღვთითმა, დაამარცხა და გააქცია, ხელ-ცარიელნი. მაგრამ შიზიყიდვან კი სამასი ტყვე გაიყვანეს. მართი წყება ლეკიც შარაჯალს დაესხა, დახვდნენ მეფის ძე იულონი და მისი ძმის ბიორგის ძე იოანე ზედაველზედ, დაამარცხეს და გააქციეს. ამ წელსვე სომეხმა მიხაელ არყუთაშვილმა პირწანისი ლეკებს წაახდინა და შალაჩითგან ორასი სომხის ტყვე გააყვანინა, რუსთავეც ამ წელს ააოხრეს ლეკებმა.

მეფის ძის ძემ ღვთითმა გაილაშქრა ოსმალელებზედ; ჯერ ჯავახეთი მობრბია, მერმე შარსის მხარე ინჯადართ, შალდრენით და ჯამუშლით, ათასი ტყვე გამოიყვანა, დასწვდნენ ვაკეებში ოსმალთ მღევარნი, გაჩნდა დიდი სროლა და შეტაკება, მაგრამ დიდის სიმხნით დაამარცხა ოსმალონი.

1790 წ. ნამეფი ღვთითი განუდგა სოლომონ მეფეს და იმწია ახალციხით ლეკნი, დაიჭირა ხელახლავ იმერთის მეფობა. ამ დროს მეფე მრეკლემ მოაშველა თავის ძის ძე იოანე, გაამარ-

ჯვებინა და ისევე სოლომონს მიეცა მეფობა.

ასრე ამნაირი წვრიმალი ომი-კინკლობა არ აკლდათ.

ამასობაში გაძლიერდა სპარსეთში ხოჯა-აღა-მაჰმად-ხანი, მოაწია მანჯაღის ნელ-ნელა და ბოლოს 1795 წ. ოფილისიც აიღო და მოაოხრა. ორტახნის შემდგომ დააგლო ოფილისი და წავიდა ხორასანს, მაგრამ რა სარგებელი? საქართველოს სამხარეო სული-გული აღარ შერჩა! სულ-ამომავლობის უკანასკნელ წერტილზედ იყო მიხდვარი! 1791 წ. სულეიმან-ფაშა მოკვდა 16 აპრილს; ამას ერთნაირი ჭირი სჭირებია, რომ მსხლის ჭამა ძლიერ სწყენდაო: გაჭირებაში მკურნალად ჰყოლია იმ დროინდელი კაფუჩინის პატრი; ისე სასტიკად დაუშლია მსხლის ჭამა, რომ თუ შევიტყე ჩვენ წინააღმდეგად მოქცევა, აღარ გიწამლებო; მაგრამ ვიცლას იჩაღას (კარის კაცს) კარგი გულაბი მიუტანია; თვალი წასვლია და უტყამა; რა შეჭირვებულა, პატრი მიუხმიათ. იმას მაშინვე შეუტყვია, მსხალი გიჭამიაო. უარი რომ უთქვია, უსმევია სარწყევი და ახალად დაცოხნილი კი ამოუღებინებია. მაშინ უთქვია:

— „ღორი ღორივით თავის საწყინოს არასა სჭამს და შენ ღორზედ უარესი ყოფილხარო!... ამდგარა მაშინვე, წამოსულა და ვიდრე ციხის კარებში

*) „დროება“, № 200.

ვიდეთ თქვენი ხალხის მასწავლებელი...
„მაგრამ, თუ თქვენ რუსეთში ცხოვრობთ, სამშობლო ენას გარდა, რუსული, სახელმწიფო ენის ცოდნაც აუცილებლად საჭიროა თქვენთვის. როცა რუსულ ენას შეისწავლით, შემდეგ თქვენ, სამშობლო ენის შემწობით, თქვენ გადასცემთ თქვენს შაგირდებს სწავლასა და ცოდნას და მით შეუერთებთ განათლებულ შერობას.“

„ისწავლეთ, გაიხსენით გონება, გაამდიდრეთ თქვენი სამშობლო ენა და ლიტერატურა და დარწმუნებული იყავით, რომ კაცი იმათ ხელს არ ახლებს. მოველი ხალხა უნდა აფასებდეს თავის წარსულს, იმ წარსულს, რომელმანც თავათ ეს ხალხი და იმის ნაციონალური განსხვავება შექმნა. იშრომეთ ერთსა და იმავე დროს სახელმწიფოს ინტერესებისათვისაც და თქვენი საყვარელი სამშობლოსთვისაც.“ („ბავკაზი“, № 211).

რა კარგი იქნება, რომ ამისთანა ტიპილის და გონიერის სიტყვებით ხელმძღვანელობდნენ ჩვენში ზოგიერთები, რომელთაც ჰქვიათ და მოწინავე კაცებს ეძახიან.. ძალზე უკეთესი იქნება, რომ ამ შემთხვევაში სიტყვასა და საქმეს შუა ჩვენში განსხვავებას არა ვხედავდეთ...

„დროშის“ კორრესპონდენცია

ნუხი, 21 სექტემბერს. არა ვგონებ, რომ

ის უბედურება, რაც საწყალ მართაშენლ ხალხს ადგია, ჰქონდადეს რომელსამე ხალხს თვით ქვეყნის შექმნიდამ ვიდრე აქამომდე: ისე ჰხოცენ საწყალ უღებს, (ქართველთა უწოდებენ თავიანთ თავს ისინი, მართლმადიდებლები კი არიან), როგორც კალიას გაბრაზებული გლეხი რომელსაც მთელის წლის ჭირნახულს უფუტკებს. თვით იმათვე ამოუწოვიათ უკანასკნელი სისხლი საწყლებისთვის, ახლა ვინც მოწინავე ხალხი იყო მათში, ზოგი დახოცეს ზოგი გააქციეს და ენაც ხოცვეს. მაგ. მასწავლებელმა ძოტივემა ეგზამენების დროს დაანება თავი შკოლას და გაიქცა; ბეჟანოვს მისცეს მასწავლებლობა; პრისტავს მიეწერნა, ნუხში მოდი, უნდა გამოგიცხადო რამეო; მას მოეწერა: მომკვლენო, გზაში ჩასაფრებული მტრებიო; მეორე და მესამეთაც მკაცრი მიწერილობა გაუგზავნია: „მე გიბძანებ აქ მოხვიდეთ.“ წამოვიდა თუ არა, ერთი ვერსი არ გამოუვლია, გზაში მოკლეს.

იმას შემდეგ რამდენიმე სხვებიც და ერთიც გუშინ ღამე.

ბოროტი ენები მოგახსენებენ, ვითონც პრისტავს, ჯერაც არ მოუხდენია ამაზედ გამოძიება და არ მიუცია გამოძიებელისთვის ნამდვილი საბუთები, თორემ რათ იბარებდა ბეჟანოვს ნუხშიო, როდესაც შეეძლო, რომ იქაც მიეწერნა, რომ მასწავლელთა დაგამტკიცესო.

მართაშენში რომ კაცი მოკლან (40 ვერსი არის), პრისტავი: ხალხს აქ იბარებს და გამოძიებას ნუხში ახდენს. ამბობენ,

წადს, ჯერ მრთელი კათოლიკეთ წინმდგომნი დაუტყვევებით ლომან-ვაშისთვის და მერე მღვდლები, ზემო ეკლესია, პატრების ეკლესია დაუზღვიათ, დაუბეჭდიათ და წმ. იოანე-ნათლისმცემლის ეკლესია პოებისთვის მიუციათ; მერევე ხსენებული პავლე ეპისკოპოზი ექვსი მღვდლით ცხენებზედ ფეხ-გაკრული მჩმიაწინს სიმონ კათოლიკოსთან წაუყვანიათ; პატრის უმფროსი პლეიზი, პატრი იერონიმე და პატრი მიჩენციო ექსორია უყვიათ, გაუდღვენიებიათ.

ამას და ამ გვარ უწვსოვებს არა მართო ქრთამებით ჩადიდნენ, არამედ აბეზღებდნენ, რომ ფრანგის ხელმწიფეებთან მიწერ-მოწერა აქვს ოსმალის საწინააღმდეგოთაო; იმათაც ის უნდოდათ: სომხებითგან ქრთამს იღებდნენ, კათოლიკებითგანაც საზღვევარ ჯარიმასა და ისევე აძლევდნენ თავიანთ მღვდლებს და ეკლესიებსა!

1770 წ. შუთაისს კათოლიკებს ეკლესია აუგიათ; თავ-მდგომი და ერის შემვლელი ყოფილა ხოჯევანთ იოანე მღვდელი. ამავე წელს მეფეს ხონითგან შუთაისში გადმოუსახლებია სომხები. 1777 წ. სომხის მარტიროზ ვართაპეტი მოსჭრია ხოჯევანთ მღვდელსა და უწყვია დავი-დალაბა; დაუქრთამებია მეფე და გამართულა ამ სომხის და ვართაპეტს და კათოლიკე მღვდელს შუა ბჭობა, ცილობა. ბასით რო ვერა და-

ვითომც გამოძიებელსაც მიეწერნოს საჩივარი პროკურორთა წყაღებულნი ბენ, რომ ვერაინ რახ დეკლარაციები...

წარმოიღვინეთ ეზოში ვერ გამოუსულა საწყალი გლეხი ხალხი, რომ შეშა შეიტანოს და საქმელი მოხარშოს; უცხო კაცი თუ არ ჰყავს დაქვრილი, ი. ე. მოჯამაგირე, წყალს ვერ შეიტანს თავის ეზოდამ დასაღვეათ, თუნდ მწყურვალე მოკვდეს. საწყალ ბეჟანოვს ერთი მოხუცი ბიძა ჰყოლია; მას მოუციდნია ობლობისთვის ხელი, რომ უყარაულოს, —მისთვის სახლი დაუწვიათ და შეუთვლიათ, ამ ორ ღღეში შენც მოგკლათო; გამოქცეულა ეხლა, ნუხში ნაჩლიკისთვის ქაღალდი მიუცია; მაგრამ რაკი უთქვამთ, იმასაც მოჰკვლენ. ის იმიტომ გამოუგდიათ, რომ, ამბობენ, სამი ბაღლი დარჩომია სახლში ბეჟანოვს —მწლები არიან და ისინიც უნდა დახოცონო.

ამის დამწერი დიდს ვედრებით გთხოვთ, თუ შეიძლება, ეს სხვა გახეთქებშიაც გამოაცხადოთ, რომ ამ გვარს საშინელს უბედურებას ეგება ბოლო მოეღოს.

მნახელი.

წერილი რედაქტორთან

21-ს რიცხვსა ამა თვისა, 7 საათზედ საღამოს, ქ. შუთაისში, მახლობლათ თავდა-აზნაურობის ბანქისა, საიღამაც ფულები ჩენჩივით გააქვთ და გამოაქვთ,

მოსულა, სულიმანს სული ამოხდენია. როგორც ვსთქვით, ეს საუკუნოება მეტად მაინე იყო, როგორც მესხებისათვის ოსმალეების გარდაკიდული, ისე მართლ-იმერეთისთვის გარემის სჯულის მტრთ გამოისობით; ასრევე ახალციხელი კათოლიკებისათვის პოების გარდაკიდული, აღარა ჰქონდათ თურმე მოსვენება: ნათლის ღება, ჯვრის წერა და დასაფლავება კათოლიკებისა, როგორც ყოველგან ოსმალეთში თუ სპარსეთში, ისე კარგა ხანს ახალციხეს და მის მიდამოებში სრულ პოების მღვდლების ხელთ ყოფილა; მალ-მალ ძოსტანტინეპოლის სომხის პატრიანები გამოაცემინებდნენ თურმე ოსმალის მთავრობას ნაირ-ნაირ მაინე ფირმანებსა, აწიოკებდნენ მრთელ ანატოლში.

მსევე კერძო ხვედრი ჰქონდა ახალციხის კათოლიკებსა, მღვდლით ერამდის და ეკლესიებამდის. ამ გვარი სამწუხარო შედეგის მოსასპობლად ეცადნენ კათოლიკები და რომში მოკოთ მოდგმისა პავლე ეპისკოპოზად აკურთხენეს. მს ეპისკოპოზი ვიცადა პატრ ღონ-ანტონთან ერთად მოსულა 1767 წ. ახალციხეს და უწყვია მართვა წესიერად ერისათვის; მღვდლები უკურთხია შმიდა ჯვარის ეკლესიაში, რომ აღრეც საეპისკოპოზო ეკლესია ყოფილა. მართი წარმატება სომხების თვალს არ გაუტანია; დაუქრთამიათ ფაშა მესამე წელი-

უკლია-რა, სამოქალაქო ძალი მოუხმარია, დაუხშვიათ ეკლესია, და ეს მღვდელი ახალციხესვე გადმოუსულა. მის შემდგომ პატრები მისულან და იმათ დაუფლიათ. ახალციხეს გარდმოსვლითავე სომხის თავიანთ ვართაპეტს დაუტყვევინებია ეს მღვდელი, 525 ყურუში გარდუხდევინებიათ და ისე გაუთავისუფლებიათ. 1790 წ. ღემეურე, პეტრე მღვდელი და დესპოტი დაუტყვევებიათ. (მს ის დესპოტი, რომ შემდგომ აწამეს). კათოლიკების მღვდლებისათვისაც ჯირამად 16 ქესა თეთრი გამოურთმევიათ, რადგან სომხის მღვდელი ტერ-სააკი ექსიოდე მოსახლით კათოლიკედ მოქცეულა, ეს მღვდელი მჩმიაწინს უტანჯიათ რამდენიმე წელს შიმშილ-მწყურვალეებით და წკპლის ცემით დილა-საღამოს ყოველ დღე. ამ დროს ამასთან დაუტყვევებიათ ვიცლა სარქის ვართაპეტი ოქირ-ტადელი, რომელიც მეფე შრეკლის გაცნობილი ყოფილა, მიუმართია მეფისთვის და მეფესაც განუთავისუფლებინებია; ამასთან ერთად ის ახალციხელი ტერ-სააკიც; მაგრამ შოშა-მანქს მისვლისა მოუწამლიათ წყლით: ოქირ-ტადელს გაუგია, არ უსვია, და ტერ-სააკი კი მეორე დღესვე გარდაცვლილა. (1792 წ.).

მინე მესხი.

ახალციხე, 20 სექტემბერს.

(ზაგრძელება)



ერთი ვილაც უბედური მედროვე (იამსუნი-კი) დაიჭირეს ცხენიან-დროვიანათ ოთხ-მა-ხუთმა მუშებმა (მეკურტნეებმა), და-უწყეს წიწვა იქითა და აქითა და თან დროვეშიაცა გაბჟული ცხენის ცემა, ელაპარაკებოდნენ: „მოგვეცი ფული, მოგვეცი, ქვე სად მივბინავ-თქვა“. საწყალი მედროვეც, თუ კი რამ ძალა ჰქონდა ხუთი ქაცის წინააღმდეგ, იჭიმებოდა, უყვიროდა მუშებსა: „ხომ არ გაგაგებულხართ, ფული მოგვეცი და გავათავე, გამშორდით თავიდან!“

ამ ყვირილში და ვაი-უბედურობაში, რასაკვირველია, შეკრულა იმდენი შავი და თეთრი ხალხი, რომ ძალი პატრონ-სა ვერ იცნობდა.

ზადის ათი-თუთხმეტი მინუტი და პოლიციის კი არაფერ სჩანს, იქ, სადაც პირველი ქუჩა არის. შევირილი, ერთი-მეორეს წიწვა-გლეჯა და დროვეში გაბ-მული პირუტყვის ცემა თან-და-თან მა-ტულობს..

საიდგანაც იყო ვილაც ბაზრის კაცმა სასტენით დასტვენა, იქნება პოლიცია მოვიდეს და როგორც იქნა წახვეარ საათის შემდეგ მობრძნდა პოლიციის ჩინოვნიკი უ. მ. ი—ნი. მობრძანდა, მაგრამ იმისთანა მობრძანება მიცემია თქვენს მტერსა, — მივიდა ადგილზედ, სა-დაც ყვირილი იყო და სანამ გაიგებდა— თუ საქმე რასში იყო, ანუ ვინ იყო დამნაშავე, ხუთი იგეთი შამოარტყა ხე-ლით თავ-პირში საწყალს მედროვეს, რომ მთავარი აღსარებაც დაუკარგა საწყალს, ძმარი ცხვირიდან წამოუვიდა და პოლიციაშიაც დგეცნიკებს გაატანა, უბძანა: „ტაში ევა?“

ამისთანა გარემოებამ, მოგახსენო სი-მართლმე, მე იგეთი გამაცხელა, რომ თავის კუჭს კინაღამ შემოვაკვდი (ფიც-ხელი კაცი გახლავარ); მაგრამ რა გამი-ვიდოდა. თავის თავსაც ვკითხე— თუ ვინ მისცა პოლიციის პრისტავს ნება თავის ხელითა დასაჯოს ქუჩაზედ მაჩ-

ხუბარი და საზოგადო სიმშვიდის და-მარლოველი კაცი.

ეს ამბავი, უ. რედაქტორო, მომიხსენ-ებია თქვენთვის, იქნება თქვენმა გა-ზეთმა გადსცეს იმისთანა კაცთ, რომ-ელთაც შეეძლოს ყურადღების მიქცევა ამ წაირს პოლიციის პრისტავის მოქმე-დებზედ, და თუ უ. ი—ნს ესურება თავის გამართლება ამ საქმეში, ორიო-დე სტრიქონი „დროებაში“ დაგაბეჭდი-ნოს ჩემს სახელზედ პასუხათ: ვინ მი-ანიჭა მას ის უფლება, რომ ქუჩაზედ მაჩხუბარი კაცი თავის მუშით უსუ-ლოთ დასაჯოს?

მ. საკუთ-შვილი

ქუთაისი, 22 სექტემბერს.

განსხვავება

ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე, ხე-ჩინოვის სახლებში, ივანე კურჭოვის მაღაზიაში ისპიდებამ ნამდვილი, თეთ-

წინდა (თაფლის) სან-თელი

შასი ჩვეულებრივზე ბევრად უფრო იაფია.

ამ გვარივე ნამდვილი წმინდა სანთე-ლი ისე იღება აგრეთვე თვილისშიაც, სიონის ულიცაზედ, მანანოვის ქარვას-ლაში.

(10—6)

მედიცინისა და ხირურგიის დოქტორი მიუხარინანის დაბრუნდა სამზღვარ გა-

რეთილამ და იღებს აფეთქებულ მუცელს და დილის 8 საათიდან 10-მდე

და საღამოს 5 საათიდან 7-მდე.

წარბებს ექიმობისათვის არაფერს არ ახდევინებს.

დოქტორი ქიურჩიანცი სდგას: სო-ლოლაკში, ბალის (სადოვის) ქუჩაზე, მჭენდიევის სახლებში, № 56.

(5—5)

ქართული წარის სასწავლი

ლეანი

(პროპოსი) სურათებით

შედ. ან. ჯუღელისაგან

ბამოვიდა და ისე იღება შემდეგ ადგი-ლებში:

თბილისს: ჩარკვიანის, მართანო-ვის და ბრიჭუროვის წიგნის მაღაზიებში, ქუთაისს: სასულიერო სასწავლე-ბელში და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბ-ლიოთეკაში,

სამეგრელოში: სასულიერო სას-წავლებელში დ. სუჯუნას ოფიურის ლუქანში და აბაშაში უფ. ანტ. პეკე-ლიასთან შკოლაში,

მსოფლიოში: სასულიერო სასწავ-ლებელში,

ხონში: უფ. ჭალაგანიძესთან,

ზორს: სასულიერო სასწავლებელ-ში,

თელავს: სასულიერო სასწავლე-ბელში და ხირსელოვის წიგნის მაღა-ზიაში,

სიღნაღს: უფ. ძ. ბალაშვილთან.

შასი ერთის ვგზემპლიარისა აბაზი.

რპ. გზა.	ლით.	საღამ.	II კ.	III კ.	ბელმგრაში	მან კაპ.	მაზანდა	მან კაპ.	თვილისის სამკურნალო.
თვილისი ..	9 21	5 18	8 კაპ.	მ. კაპ.	მ. ცი სიტყვა თვილისიდან		თვილისი 25 სექტემბ.		პრეფ. მ. იდ., წინ. მძღვაროვ. სახლი.
მცხეთა ..	10 11	6 27	85	44	ძავეასის აქეთა მზრის ყველა		შქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	240	აფათმყოფებს მიიღებენ ყოველ
ბორი ..	11 58	9 43	3	1 53	ქალაქებში ..	50	შქვ. წითელი ..	230	დღე დილის 8 საათიდან 10-დინ.
საშური ..	1 29	11 57	4 73	2 42	როსტოვს, მდესას, მოსკოვს,	2	შერი ფუთი ..	150	მარალევიჩი—შინაგ. აფათმყოფობის.
სურამი ..	1 44		4 90	2 61	პეტერბურღს, მარშავს ..	2	ბაზმა მრევისა, ფუთი.	870	სამშაბათს: მერმიშვიი შინაგ.
შვირილა ..	5 49		7 21	3 69	მსმლოში, შვეიცარიაში ..	3	— აშერკისა, ფუთს ..	950	აფათმყოფ.; რეიზი—თვალის, შურავ-
რანი ..	6 57		8 44	4 31	იტალიაში და საფრანგეთში ..	3 50	ბაენტილი ბაზმა ფუთი.	1180	ღვევი—ვენერიულის, და კანისა; ბა-
სამტრედია ..	7 51		9 66	4 93	ინგლისში ..	3 75	მატყელი თუშური ფუთი.	850	ბოვი—გულისა და შინაგ.
ახალ-სენაკი ..	8 43		10 71	5 47			— მ. რაქამისა ფუთი ..	420	მთხშაბათს: ლისიცივი—ში-
შოთი ..	9 50		12 24	6 26			აბრეშუმის ნუხური სტ.	210	ნაგ, ასტუა-ცატუროვი—ქალისა და
					ზოგბა		ქონი ფუთი ..	580	ბავშვების აფათმყ.
შოთი ..	9 3				ა) თვილისიდან: სამზღვარ გარ-		ქონის სანთელი ფუთი.	760	ხუთშაბათს: მერმიშვიი—ში-
ახალ-სენაკი ..	10 14		1 53	7 3	რეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ		სტეარინის სანთელი ფ.	1170	ნაგ. აფათმყოფ. და შურავლევი—კანის
სამტრედია ..	11 5		2 61	1 33	დღე კვირ.ს გარდა. შუღდ. ორშ. და		ხორცი ძროხისა დიიტრა		და ვენერიულის.
რიონი ..	12 13		3 84	1 97	ხუთშ. მსურ.—პარასკ. და ორშ. ძა-		— ცხვრისა, ლიტრა ..		პარარასკევის იქნებთან: ლისი-
შვირილა ..	1 18	ლაგ.	5 3	2 56	ხეთს—საშ. და შაბ. ბ) ქუთაი-		სპირტი ვედრო ..	450	ცივი, შინაგ.; ასტუა-ცატუროვი—ვე-
სურამი ..	5 12		110 734	3 74	ლიდამ: თვილისისა და შოთისაკენ—		შაქარი ბროც. ფუთ ..	725	ნერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და
საშური ..	5 39		137 751	3 84	ყოველ დღე კვირას გარდა. მსურ-		— ფხენილი ფუთი ..	6	შინაგ. აფათმყოფ.
ბორი ..	7 5		4 8924	4 73	გეთს—ორშ. და პარასკ.		შავა რვეალი გრვ. ..	65	შაბათს: მერმიშვიი, შინაგ.; შურ-
მცხეთა ..	8 50		6 591139	5 82	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ	ხუთი ქუჩაუთისა ფუთი.	1450	აფლევი.—ვენერ. და კანის რეიზი—
თფლისი ..	9 31		7 56124	6 26	და სამზღვარ გარეთ:		თამბაქო საშუალო ფთ.	670	თვალის.
					ლა წიგნის ..	3			
					დაბეჭდლის (სამი მისხალი) ..	7			